პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 დეკემბერი ხუთშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 300 (14904)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები იღებენ კანონს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-სახიჯეტო და დარგობრივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით.

მუხლი 2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

	(მატება პროცენტობით 1970 წელთან შედარებით)
საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის პროდუქცია	6 პროცენტი
მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობისა	8,2 პროცენტი
სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	11,6 პროცენტი
მათ შორის, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც უშუალოდ გამოყოფილი აქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს	12.4 პროცენტი
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტვირთბრუნვა	7,7 პროცენტი
მუშებისა და მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი (მშენებლობის, საპროექტო ორგანიზაციების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების, საკოლმეურნეობათაშორისო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების გამოკლებით)	6,5 პროცენტი
მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობისა და არასამრეწველო საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა სამრეწველო საქმიანობიდან	17,9 პროცენტი

მუხლი 3. გადიდდეს 1971 წელს 1970 წელთან შედარებით:

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	8,7 პროცენტით
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება	15,4 პროცენტით
სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხარჯზე საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა	11,3 პროცენტით
ბავშვთა რიცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში	8,2 პროცენტით
მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში	13,3 პროცენტით
მოსწავლეთა მიღება უმაღლეს სასწავლებლებში	0,8 პროცენტით
მოსწავლეთა მიღება საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში	2,1 პროცენტით
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა	3,7 პროცენტით

მუხლი 4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-სახიჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 1.340.124 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში 1.305.721 ათასი მანეთის ოდენობით, გასავლიდან შემოსავლის 34.403 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

დიადი იდეის გამარჯვება

ქალაქ მოსკოვის მშრომელთა, კარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების ლენინური გოელროს გეგმის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებას

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან და გულითადად უღოცავენ რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო გეგმის (გოელროს) 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრების მონაწილეებსა და მათი სახით ჩვენი სამშობლოს მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

გოელროს გეგმა, რომელიც შემუშავებულია დიდი ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით და მოიწონა სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობამ, ისტორიაში პირველი მეცნიერულად დასაბუთებული საერთო-სახელმწიფო პერსპექტიული გეგმა იყო, რომელიც ითვალისწინებდა მთელი ეკონომიკის სოციალისტურ გარდაქმნას ელექტრიფიკაციის ბაზაზე. მან დასაბამი მისცა ჩვენი პარტიისა და მთელი ხალხის მიზანსწრაფულ შემოქმედებითს მეცადინეობას ახალი საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. მთელი მსოფლიო თვალნათლივ დარწმუნდა, რომ კომუნისტების პარტია და სოციალისტური რევოლუციით შობილი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო მთელ თავიანთ ძალებს ახმარენ აღმშენებლობის, სახალხო მეურნეობის აღმავლობის, შრომელი მასების კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლების ამოცანების გადაწყვეტას.

გოელროს გეგმის უდიდესი პოლიტიკური და სოციალური როლის გამუქებისას ლენინმა მას უწოდა პარტიის მეორე პროგრამა. მისი გენიალური დებულება „კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტრიფიკაცია“ დღესაც ინარჩუნებს საპროგრამო მნიშვნელობას.

გოელროს გეგმის წარმატებით რეალიზაცია ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, შრომელთა დიადი გმირობა იყო. სამეურნეო ნგრევისა და მასობრივი ბრძოლის ძნელ პირობებში, მეტად შეზღუდული მატერიალური რესურსებისა და დაბალი სამშენებლო ტექნიკის პირობებში მოკლე ვადაში აშენდა ათობით ახალი ელექტროსადგური, სათბობის მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის საწარმოები. კაშირა და შატური, ვოლხოვშენი და დნეპროშენი ისტორიაში შევიდნენ როგორც შრომითი გმირობის ბრწყინვალე ნიმუშები.

გოელროს გეგმაში ჩამოყალიბებული ლენინური პოზიციების შემდგომ ყოველმხრივ განვითარებას წარმოადგენდა ჩვენი ხუთწლედები. საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა გარდაიქმნა მძლავრ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს განვითარებული მრეწველობა და კოლმეურნეობრივ-საბჭოთა მეურნეობრივი სოფლის მეურნეობა. ჩვენში მთლიანად გაიმარჯვა სოციალიზმმა, შეიქმნა საზოგადოების უსოფლო სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა, დამკვიდრდა სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა. ყოველივე ამან საშუალება მისცა საბჭოთა კავშირს ისტორიული გამარჯვება მოეპოვებინა ფაშიზმზე დიდ სამამულო ომში. ჩვენმა ხალხმა სწრაფად აღადგინა და ბევრად გადააჭარბა მეურნეობის განვითარების ომამდელ დონეს, ლენინური პარტიის მეთაურობით გულდაჯერებით შეუდგა კომუნისტურ მშენებლობას და დიდი წარმატებანი მოიპოვა ამ გზაზე.

მიმდინარე ხუთწლედში მიღწეული ელექტრიფიკაციის უზარმაზარი მასშტაბი მოწმობს გოელროს გეგმის ლენინური იდეების დიად გამარჯვებას. ელექტროენერგიის გამომუშავება 1920 წელს, როცა ეს გეგმა მიიღეს, შეადგენდა მხოლოდ ნახევარ მილიარდ კილოვატ-საათს, ამჟამად კი 740 მილიარდს მიაღწევს. განუზომლად გაიზარდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ტრანსპორტის ელექტროღვრილობა. საბჭოთა ენერგეტიკის თანამედროვე დონეს ახასიათებს ისეთი უნიკალური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, როგორიც არის ბრატსკისა და კრასნოიარსკის, კონაკოვოსა და დნეპრისპირეთის, ატომური ელექტროსადგურები, მაღალი ძაბვის შორი ელექტრომადამცემი ხაზების შექმნა.

ჩვენი პარტია თანამედროვე ეტაპზეც უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს ელექტრიფიკაციის უპირატეს განვითარებას, ეს მიაჩნია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების აუცილებელ პირობად.

ჩვენს სახელოვან ენერგეტიკოსებს, რომლებიც ღირსეულად განაგრძობენ ელექტრიფიკაციის პიონერთა საქმეს და ავითარებენ მათ შრომითს ტრადიციებს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. ენერგეტიკოსთა თავდადებულ შრომას ღირსეულად აფასებენ კომუნისტური პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი.

გოელროს გეგმის 50 წლისთავი აღინიშნება ლენინის საიუბილეო წელს, სკკპ XXIV ყრილობის წინ, რომელიც განსაზღვრავს კომუნისტური საზოგადოების შემდგომი მშენებლობის ამოცანებს. განაგრძობენ რა ლენინურ შრომითს ვახტს, საბჭოთა ადამიანები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ღირსეულად შეხვდნენ ყრილობას ახალი საწარმოო მიღწევებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ მუშებს, კოლმეურნეებს, ტექნიკოსებს, ინჟინრებს, მეცნიერებს, ყველა შრომელს კიდევ მეტი ენერგიით იბრძოლონ ელექტრიფიკაციის შესახებ ლენინის ანდერძის სრული განხორციელებისათვის, კომუნიზმის მშენებლობისათვის.

დიდება დიდ ლენინს!

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენ გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

1970 წლის 22 დეკემბერი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

წარმოებაში ოსტატის როგორც ორგანიზატორისა და აღმზრდელის როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი წარმოებაში ოსტატის როგორც ორგანიზატორისა და აღმზრდელის როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში ბიურომ აღნიშნა, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები გარკვეულ მუშაობას ეწევიან წარმოებაში ოსტატის როლის ყოველი ღონისძიებით ამაღლებისათვის. რესპუბლიკის საწარმოებში მუშაობს ათასობით ოსტატი — ნიჭიერი ხელმძღვანელი, ორგანიზატორი და აღმზრდელი, რომლებსაც აქვთ ღრმა ცოდნა და უნარიანად იყენებენ მას ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში. ოსტატებთან მიზანმიმართულ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და სხვა საწარმოების პარტიული ორგანიზაციები.

მაგრამ რესპუბლიკის ცალკეული საწარმოების პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ჯეროვნად არ აფასებენ ოსტატის როლს წარმოების ხელმძღვანელობაში. სამინისტროების, უწყებების, საწარმოების ხელმძღვანელები სათანადოდ არ ზრუნავენ წარმოების უმცროსი მეთაურების შერჩევისათვის, განაწილებისათვის, აღზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ თვითეულ მათგანს შეუქმნან ნაყოფიერი მუშაობის ყველა პირობა.

მთელ რიგ საწარმოებში დაკნინებულია ოსტატის როგორც აღმზრდელისა და დამრიგებლის როლი. პარტიული ორგანიზაციები ჯეროვნად არ ზრუნავენ იმისათვის, რომ ოსტატებს ჩაუნერგონ ადამიანებთან მუშაობის, კოლექტივის ხელმძღვანელობის ჩვევები, რაზეც ბევრად არის დამოკიდებული ნორმალური ვითარება საწარმოო უბანზე, ურთიერთობა კოლექტივში, მწყობრი და ერთსულოვანი მუშაობა.

ამას წინათ გაიმართა მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის საწარმოთა ოსტატების რესპუბლიკური კრება, რომელმაც განიხილა საწარმოში ოსტატის როგორც ორგანიზატორისა და აღმზრდელის როლის ამაღლების საკითხი და სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის ამოცანები. კრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის საწარმოთა ყველა ოსტატისადმი. ამ მიმართვას ყველგან გამოეხმაურნენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოების ხელმძღვანელებს, საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნიონ წარმოებაში ოსტატის როგორც ორგანიზატორისა და აღმზრდელის როლის ყოველი ღონისძიებით ამაღლება, რომელიც ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობის განუხრელ ზრდას. 1971 წლის პირველ კვარტალში მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის ყოველ საწარმოში განიხილონ ოსტატთა რესპუბლიკური თათბირის შედეგები, შეიმუშაონ ოსტატებთან მუშაობის კონკრეტული პერსპექტიული გეგმა, გაითვალისწინონ, რომ ახალი მიჯნების მიღწევის უმნიშვნელოვანესი პირობა არის მუშაობის მაღალი ორგანიზებულობა, მწყობრი რიტმი, ბეჯითი ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ტექნიკური პროგრესის ბაზაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ყაირათიანი დამოკიდებულება სოციალისტური საკუთრებისადმი, მართვის მეთოდების განუხრელი სრულყოფა; ფართოდ გამოიყენონ წარმოების ოსტატებთან მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები, მორალური და მატერიალური წახალისება. მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება ოსტატთა შორის წოდებისათვის „საუკეთესო უფროსი ოსტატი“, „საუკეთესო ოსტატი“, შექმნან ოსტატთა სკოლები და საბჭოები, რეგულარულად მოაწყონ „ოსტატის დღეები“, იზრუნონ ოსტატთა მუშაობის დადებითი გამოცდილების ფართო ურთიერთგაზიარებისათვის, საუკეთესოთა მაგალითით ორგანიზატორული ხელოვნება და აღზრდის ჩვევები ასწავლონ წარმოების ყველა მეთაურს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ რესპუბლიკის პროფსაბჭოს დაავალა 1971 წლის მეორე კვარტალში მოაწყოს რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსი საუკეთესო საწარმოო უბნისათვის, მოაწყოს სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობის დარგების მიხედვით რესპუბლიკის საუკეთესო ოსტატის წოდებისათვის და 1971 წლის თებერვლამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგინოს დებულება „რესპუბლიკის საპატიო ოსტატის“ წოდების შესახებ. (საქდესი).

მრეწველობის მუშაკთა ნოგათი

ქალაქ თბილისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა

ფართოდ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ქალაქ თბილისის მრეწველობის მშრომელებმა ვადამდე, 23 დეკემბერს, ნაკისრ ვალდებულებაზე ორი დღით ადრე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა.

პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა შარშანდელთან შედარებით გაიზარდა 7,6 პროცენტით, ამასთან წარმოების მატება ძირითადად მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, მეცნიერებთან და კონსტრუქტორებთან მჭიდრო თანამშრომლობით დაუცხრომელად შრომობენ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფისათვის, ახალ სახეობათა ნაწარმის ათვისებისათვის, პროდუქციის ხარისხის, მისი სიმეტლოობისა და ხანგამძლეობის გაუმჯობესებისათვის.

დაეგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე ბევრი საწარმოს გადასვლამ ფართო შესაძლებლობანი დასახა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ლენინის საიუბილეო წელს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი — დიმიტროვის სახელობის საავიაციო, სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო, № 4 მექანიკური, № 1, 3 და 4 ღვინის, კონიაკის, შამპანური ღვინოების ქარხნების, №№ 1 და 6 სამკერვალო, ჩაისსაწონი, № 2 თამბაქოს ფაბრიკების, მაუდ-კამოლის, ხაშენ მასალათა, რძისა და სხვა კომბინატების კოლექტივებმა.

სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან კომუნისტური შრომის კოლექტივები და დამკვრელები, წარმოების მოწინავე — ნოვატორთა მრავალათასიანი რაზმი.

ქალაქ თბილისის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXIV ყრილობისა და ჩვენი რესპუბლიკის იუბილეს აღსანიშნავად. (საქდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აკადემიკოს ვ. ა. ამბარცუმიანისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სომეხ და ქართველ მეცნიერთა შორის მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებისა და ქართველ ასტრონომ-მეცნიერთა კადრების აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ვიქტორ ამაზასპის-ძე ამბარცუმიანს მიენიჭოს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 21 დეკემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სომხეთის სსრ აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. გ. სევაკისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სომხურ-ქართულ ლიტერატურულ და კულტურულ ურთიერთობათა დარგში ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობისათვის სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს გურგენ გრიგოლის-ძე სევაკს მიენიჭოს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 21 დეკემბერი.

ოქტომბრის ძლევამოსილი გზით

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის საბოლოო სხდომა

23 დეკემბერს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის მესამე, საბოლოო სხდომა. სხდომა მიმდინარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ რ. რ. დვალის თავმჯდომარეობით.

დეპუტატებმა განაგრძეს განხილვა მოხსენებებისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, აგრეთვე თანამოსახლეობის განხილვა.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატები ბ. დ. ფლენტი (ტაბიძის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), თ. ნ. დავითაშვილი (ხიდისთავის საარჩევნო ოლქი, ჩოხატაურის რაიონი), ო. ვ. თაქთაქიშვილი (გოგებაშვილის საარჩევნო ოლქი, ქ. ბათუმი), ბ. ლ. ჭუბაბრია (გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი, გეგეჭკორის რაიონი), საქართველოს სსრ სახმენის თავმჯდომარე ი. ნ. ციციშვილი, დეპუტატები ლ. თ. ვლასოვა (დიმიტროვის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), ნ. მ. შარძულაძე (სორის საარჩევნო ოლქი, ონის რაიონი).

საინტერესო და შინაარსიანია დეპუტატთა გამოსვლები. ისინი მკაფიოდ ასახავენ საყოველთაო სახალხო პატრიოტული და პოლიტიკური ალმავლობის აგმოსფეროს, რომელიც ამ დღეებში სუფევს რესპუბლიკის საწარმოებში, მშენებლობებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო დაწესებულებებში. რესპუბლიკის მშრომელები, რომელმაც გააჩაღეს შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად, საბჭოთა საქართველოს ნახევარი საუკუნის იუბილესა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ისწრაფვიან ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ახალი წარმატებებით აღნიშნონ ეს ღირსსახსოვარი თარიღები.

დიდი ოქტომბრის მზეზე აყვავება საბჭოთა საქართველო. ახრულებენ რა ლენინის ანდერძს, მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნულ მითითებებს, საქართველოს მშრომელებმა მომძლე ხალხთა ერთიან ოჯახში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

დეპუტატთა გამოსვლები პატაკია იმის შესახებ, თუ რა მრავალმხრივი და რთული მუშაობა გასწიეს საქართველოს მშრომელებმა ხუთწლედის დამამთავრებელ წელს. აქ, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში თითქოს თვალწინ წარმოჩენდება საბჭოთა საქართველოს გეოგრაფიაც და მისი შრომითი დიდების ბიოგრაფიაც.

ხალხის რჩეულებმა შეაფასეს ყველაფერი ის, რაც გაკეთდა, და მთავარი ყურადღება დაუთმეს გადაუჭრელ პრობლემებს, დიდმნიშვნელოვან ამოცანებს, რომლებიც უნდა გადაწყვიტონ საქართველოს მშრომელებმა ახალი ხუთწლედის პირველ წელს.

ყველა დეპუტატმა ერთსულოვნად გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა მოიწონონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ გეგმა და ბიუჯეტი უზრუნველყოფენ საბჭოთა საქართველოს წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებას ახალ წელს.

ამით დამთავრდა სესიის დღის წესრიგის პირველი ორი საკითხის განხილვა.

ცხადდება შესვენება. შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი რ. რ. დვალი.

„საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის“ შესახებ მოხსენების გამო საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ შ. მ. ჯაფარიძემ.

დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის შ. ს. ტრაპაიძის საბოლოო სიტყვა საკითხზე „საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“.

დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს კანონი საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და დაამტკიცეს ანგარიში საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

შემდეგ სესია შეუდგა დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას. მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ინ ბრძანებულებათა შესახებ, რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად, გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ზ. ა. კვაჭაძემ.

დეპუტატებმა მიიღეს კანონები და დადგენილებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის შემდეგ მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

ამით საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ მუშაობა დაამთავრა. (საქდესი).

ბათუმის თეატრის გასტროლები თბილისში

23 დეკემბერს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიწყო ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლები. პირველ დღეს თეატრმა მაყურებელს უჩვენა ვაჟა ფშაველას ორი პოემის „ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ ორიგინალური ინსცენირება, შემდეგ კი მაყურებელთა სამსჯავროზე გამოიტანა სპექტაკლი „ნუ გეშინია, დედა!“. ეს პიესა არის ინსცენირება ნოდარ დუმბაძის ამავე სახელწოდების რომანისა, რომელიც საუკეთესოდ ცხეს ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ კონკურსზე. პიესა მოგვითხრობს 18 წლის ჭაბუკზე, რომელიც ვერ მოხვდა უმაღლეს სასწავლებელში და მიდის არმიაში, სასაზღვრო ჯარებში სასამსახუროდ.

სპექტაკლის დამდგმელია რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. ლორთქიფანიძე, მხატვარი — ა. ნიეარაძე, მუსიკა ეკუთვნით კომპოზიტორებს ბ. კვერნაძესა და გ. ყანჩელს.

ავთო ჯაყელის როლი შეასრულა თეატრისა და კინოს პოპულარულმა მსახიობმა, ამჟამად ბათუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გ. ქავთარაძემ. სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ საქართველოს სახალხო არტისტი მ. ხინიკაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. სულხანიშვილი, ი. ცანავა, შ. გეგეძე, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები ა. ტაკიძე, ლ. ღლონტი, ლ. ყარასაშვილი და სხვები.

სპექტაკლს, რომელმაც წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ: შ. ჭ. ფაფავაძე, ბ. ლ. ჯავახიშვილი, ბ. ს. ძოწენიძე, ჯ. ა. როდიონოვი, შ. ი. ჭანუყვაძე, მ. ა. ბერიკაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შ. მ. სირაძე, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. მ. დავითაძე. (საქდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სომხეთის სსრ აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ბ. ბ. ხუდაკოვისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სომხურ-ქართულ ლიტერატურულ და კულტურულ ურთიერთობათა დარგში ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობისათვის სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ბორის ბორისის-ძე ხუდაკოვს მიენიჭოს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილის

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღდგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის მოხსენების მიხედვით მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: სულ შემოსავლის ნაწილში 1.845.927 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 1.845.927 ათასი მანეთი და, ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1972 წლის 1 იანვრისათვის 51.358 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდების საფასური, ფიქსირებული გადასახადელები, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგან — სულ 1.188.615 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 548.911 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვის და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისთვის — სულ 745.874 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით — 147.907 ათასი მანეთი.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლო ორგანოების შესანახად 25.501 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1971 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 1.266.729 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 878.584 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან და დოტაცია საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 388.145 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1972 წლის 1 იანვრისათვის 30.706 ათასი მანეთი.

მუხლი 7. დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1971 წლისათვის შემდეგი თანხებით:

(ათას მანეთობით)

	შემოსავალი	მათ შორის ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან	დოტაცია რესპუბლიკურ ბიუჯეტიდან	გასავალი	საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1971 წლის 1 იანვრისათვის
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	49534.6	40285.1		49534.6	2465
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	35739,4	29626.1		35739.4	1777
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	16422.1	9992.1	4787,4	16422.1	815
4. ქალაქი თბილისი	127619.9	95291.5		127619.9	3818
5. ქალაქი ქუთაისი	13927.7	7824.9		13927.7	691
6. ქალაქი ფოთი	3883.1	2931.7		3883.1	191
7. ქალაქი ჭიათურა	5646.8	5180.4		5646.8	280
8. ქალაქი რუსთავი	10454.3	8891.7		10454.3	518
9. ქალაქი გორი	4674.1	3304.1		4674.1	232
10. ქალაქი ტყიბული	3978.8	3520.7		3978.8	197
11. ქალაქი ზუგდიდი	3853.7	3365.4		3853.7	191
12. აბაშის რაიონი	2539.2	2206.6		2539.2	125
13. ადიგენის რაიონი	2029.9	1944.0		2029.9	100
14. ამბროლაურის რაიონი	2734.0	2537.7		2734.0	134
15. ასპინძის რაიონი	2032.6	1476.5	470.6	2032.6	100
16. ახალქალაქის რაიონი	5169.5	4821.6		5169.5	256
17. ახალციხის რაიონი	4693.8	4289.1		4693.8	233
18. ახმეტის რაიონი	3559.8	3287.6		3559.8	176
19. ბოგდანოვკის რაიონი	3321.7	3175.4		3321.7	165
20. ბოლნისის რაიონი	4220.7	3962.7		4220.7	210
21. ბორჯომის რაიონი	3203.9	2785.2		3203.9	157
22. გარდაბნის რაიონი	7324.1	6573.6		7324.1	364
23. გეგეჭკორის რაიონი	4370.3	4102.3		4370.3	217
24. გორის რაიონი	5047.2	4571.4		5047.2	250
25. გურჯაანის რაიონი	4989.5	4225.0		4989.5	247
26. დმანისის რაიონი	3210.7	3021.0		3210.7	159
27. დუშეთის რაიონი	3588.6	3285.5		3588.6	177
28. ვანის რაიონი	3224.3	2945.7		3224.3	159
29. ზესტაფონის რაიონი	5153.2	4566.0		5153.2	256
30. ზუგდიდის რაიონი	5512.0	5117.7		5512.0	274
31. თეთრიწყაროს რაიონი	3336.7	2862.7		3336.7	165
32. თელავის რაიონი	5554.5	5056.9		5554.5	276
33. თერჯოლის რაიონი	3049.9	2708.3		3049.9	151
34. თიანეთის რაიონი	2413.8	2266.3		2413.8	119
35. კასპის რაიონი	3748.0	3298.6		3748.0	186
36. ლაგოდეხის რაიონი	3984.7	3615.2		3984.7	197
37. ლანჩხუთის რაიონი	3515.5	3243.5		3515.5	174
38. ლენტეხის რაიონი	2077.7	1304.1	684.6	2077.7	103
39. მაიაკოვსკის რაიონი	2977.2	2614.8		2977.2	147
40. მარნეულის რაიონი	6267.7	5547.9		6267.7	311
41. მახარაძის რაიონი	5977.1	5325.8		5977.1	296
42. მესტიის რაიონი	2509.0	1549.4	891.7	2509.0	124
43. მცხეთის რაიონი	3234.3	2785.7		3234.3	160
44. ონის რაიონი	2288.2	2154.4		2288.2	112
45. ორჯონიკიძის რაიონი	3206.9	2950.2		3206.9	158
46. საგარეჯოს რაიონი	2994.5	2777.1		2994.5	148
47. სამტრედიის რაიონი	4463.7	3777.0		4463.7	221
48. საჩხერის რაიონი	3512.8	3060.7		3512.8	174
49. სიღნაღის რაიონი	3917.6	3405.2		3917.6	194
50. ქარელის რაიონი	3454.3	3104.3		3454.3	171
51. უჯარმის რაიონი	1349.9	1066.3	224.1	1349.9	66
52. ყვარლის რაიონი	3283.5	2976.8		3283.5	162
53. ჩოხატაურის რაიონი	2857.3	2660.4		2857.3	141
54. ჩხოროწყუს რაიონი	3265.3	3081.3		3265.3	162
55. ცაგერის რაიონი	2431.6	2280.0		2431.6	120
56. ცხაკაიას რაიონი	4394.3	3872.1		4394.3	218
57. წალენჯიხის რაიონი	3756.5	3542.4		3756.5	186
58. წალკის რაიონი	4247.7	3964.9		4247.7	211
59. წითელწყაროს რაიონი	3036.7	2672.7		3036.7	150
60. წულუკიძის რაიონი	3421.6	3068.9		3421.6	169
61. წყალტუბოს რაიონი	4388.2	3439.6		4388.2	217
62. ხაშურის რაიონი	3953.3	3357.3		3953.3	195
63. ხობის რაიონი	2813.5	2587.5		2813.5	139
სულ	467343.0	381086.6	7058.4	467343.0	20652

მუხლი 8. დამტკიცდეს 1971 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადების და შემოსავლის ანარიცხები საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან და სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან — 100 პროცენტი;

ბ) ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან — 100 პროცენტი;

გ) მოსახლეობის შენობების, საოჯახო ქონების და ცხოველების ნებაყოფლობითი დაზღვევის, უბედური შემთხვევებისაგან მოქალაქეთა ინდივიდუალური დაზღვევის, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ანგარიშში მუშაკთა დაზღვევის გადასახდელებიდან — 100 პროცენტი;

დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, შარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

	ანარიცხების პროცენტები: მოსახლეობის შემოსავლო სახდადიდან	სსრკ უცოლო, უქმრო, შარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა სახდადიდან	ბრუნვის გადასახადიდან
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	20	98	50.1
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	41	68	43.9
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	100	100	100.0
4. ქალაქი თბილისი	15	63	18.5
5. ქალაქი ქუთაისი	19	77	7.6
6. ქალაქი ფოთი	27	100	48.9
7. ქალაქი ჭიათურა	50	100	73,7
8. ქალაქი რუსთავი	60	100	97.2
9. ქალაქი გორი	50	100	31,2
10. ქალაქი ტყიბული	50	100	49.0
11. ქალაქი ზუგდიდი	50	100	40.3
12. აბაშის რაიონი	50	100	67.6
13. ადიგენის რაიონი	100	100	88.5
14. ამბროლაურის რაიონი	50	100	66.1
15. ასპინძის რაიონი	100	100	100.0
16. ახალქალაქის რაიონი	50	100	68.9
17. ახალციხის რაიონი	50	100	71.4
18. ახმეტის რაიონი	50	100	75.6
19. ბოგდანოვკის რაიონი	50	100	59,6
20. ბოლნისის რაიონი	50	100	86,2
21. ბორჯომის რაიონი	50	100	28.2
22. გარდაბნის რაიონი	100	100	4.9
23. გეგეჭკორის რაიონი	50	100	62.4
24. გორის რაიონი	50	100	38.2
25. გურჯაანის რაიონი	50	100	70.0
26. დმანისის რაიონი	50	100	87.1
27. დუშეთის რაიონი	100	100	78.6
28. ვანის რაიონი	50	100	66.0
29. ზესტაფონის რაიონი	50	100	42.1
30. ზუგდიდის რაიონი	50	100	88.3
31. თეთრიწყაროს რაიონი	50	100	75.4
32. თელავის რაიონი	50	100	62.8
33. თერჯოლის რაიონი	50	100	56.5
34. თიანეთის რაიონი	50	100	85.5
35. კასპის რაიონი	50	100	18.9
36. ლაგოდეხის რაიონი	50	100	44.3
37. ლანჩხუთის რაიონი	50	100	82.6
38. ლენტეხის რაიონი	100	100	100.0
39. მაიაკოვსკის რაიონი	50	100	50.7
40. მარნეულის რაიონი	50	100	67.8
41. მახარაძის რაიონი	50	100	48.1
42. მესტიის რაიონი	100	100	100.0
43. მცხეთის რაიონი	50	100	73.0
44. ონის რაიონი	50	100	71.9
45. ორჯონიკიძის რაიონი	50	100	68.6
46. საგარეჯოს რაიონი	50	100	76.0
47. სამტრედიის რაიონი	40	100	16.7
48. საჩხერის რაიონი	50	100	68.0
49. სიღნაღის რაიონი	50	100	74.2
50. ქარელის რაიონი	50	100	15.7
51. უჯარმის რაიონი	100	100	100.0
52. ყვარლის რაიონი	50	100	44.5
53. ჩოხატაურის რაიონი	50	100	73.0
54. ჩხოროწყუს რაიონი	50	100	74.4
55. ცაგერის რაიონი	50	100	86.6
56. ცხაკაიას რაიონი	50	100	27.6
57. წალენჯიხის რაიონი	50	100	58.2
58. წალკის რაიონი	50	100	83.8
59. წითელწყაროს რაიონი	50	100	77.3
60. წულუკიძის რაიონი	50	100	71.0
61. წყალტუბოს რაიონი	50	100	42.7
62. ხაშურის რაიონი	50	100	67.6
63. ხობის რაიონი	50	100	65.0

მუხლი 9. გადაეცეს სოფლის რაიონების ბიუჯეტებში (შემდგომში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტებზე გადასაცემად) საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტში შემოსული ბრუნვის გადასახადის ნაწილი, გამოანგარიშებული სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვასთან პროცენტებში, შემდეგი ოდენობით:

	(პროცენტებში)		(პროცენტებში)
ქალაქი ჭიათურა	20	ლანჩხუთის რაიონი	12
ქალაქი ტყიბული	7	ლენტეხის რაიონი	30
აბაშის რაიონი	13	მაიაკოვსკის რაიონი	20
ადიგენის რაიონი	32	მარნეულის რაიონი	5
ამბროლაურის რაიონი	19	მახარაძის რაიონი	3
ასპინძის რაიონი	30	მესტიის რაიონი	30
ახალქალაქის რაიონი	15	მცხეთის რაიონი	5
ახალციხის რაიონი	22	ონის რაიონი	22
ახმეტის რაიონი	20	ორჯონიკიძის რაიონი	15
ბოგდანოვკის რაიონი	20	საგარეჯოს რაიონი	13
ბოლნისის რაიონი	23	სამტრედიის რაიონი	3
ბორჯომის რაიონი	3	საჩხერის რაიონი	13
გარდაბნის რაიონი	4	სიღნაღის რაიონი	3
გეგეჭკორის რაიონი	22	ქარელის რაიონი	8
გორის რაიონი	4	უჯარმის რაიონი	30
გურჯაანის რაიონი	3	ყვარლის რაიონი	14
დმანისის რაიონი	26	ჩოხატაურის რაიონი	16
დუშეთის რაიონი	19	ჩხოროწყუს რაიონი	25
ვანის რაიონი	7	ცაგერის რაიონი	26
ზესტაფონის რაიონი	3	ცხაკაიას რაიონი	5
ზუგდიდის რაიონი	18	წალენჯიხის რაიონი	22
თეთრიწყაროს რაიონი	14	წალკის რაიონი	24
თელავის რაიონი	11	წითელწყაროს რაიონი	3
თერჯოლის რაიონი	5	წულუკიძის რაიონი	17
თიანეთის რაიონი	25	წყალტუბოს რაიონი	5
კასპის რაიონი	6	ხაშურის რაიონი	6
ლაგოდეხის რაიონი	2	ხობის რაიონი	15

მუხლი 10. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე დეპუტატთა წინადადებანი და შენიშვნები, გამოთქმული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე და მიიღოს მათ მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის ცენტრის გადატანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 21-ე მუხლში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღდგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 3 აგვისტოს ბრძანებულება „აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის ცენტრის გადატანის შესახებ“

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 21-ე მუხლში: ამოღებული იქნას სიტყვა „ბათუმის“ და სიტყვის „შუახევის“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „ხელვაჩაურის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს გაუქმების, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შექმნის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის გარდაქმნის და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შექმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე და 55-ე მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღდგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1970 წლის 5 აგვისტოსა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს გაუქმების შესახებ“.

1970 წლის 23 სექტემბრისა „საქართველოს სსრ იუსტიციის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“.

1970 წლის 2 ოქტომბრისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“;

1970 წლის 15 დეკემბრისა „საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე და 55 ე მუხლებში;

50-ე მუხლში სიტყვები „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“; ამავე მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსი“;

55-ე მუხლში სიტყვის „მშენებლობის“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „საბჭოთა მეურნეობების“ და სიტყვის „თავდაცვის“ შემდეგ — „იუსტიციის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღდგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1970 წლის 30 ივნისისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

1970 წლის 20 აგვისტოსა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

1970 წლის 25 სექტემბრისა „შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“;

1970 წლის 27 ნოემბრისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 363-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღდგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 20 აგვისტოს ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 363-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღდგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 20 აგვისტოს ბრძანებულება „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **დ. ვ. გელაშვილის** თანამოხსენება

ამხანაგნო დეპუტატებო!

1971 წელი, რომლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები წარმოდგენილია თქვენს წინაშე, განსახილველად, ღირსშესანიშნავი წელია საქართველოს მშრომელთათვის. ამ წელს სრულდება ნახევარი საუკუნე მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა დაამყარა მმართველობის საბჭოთა ხელისუფლება. ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში.

ჩვენ ყველა მოწმენი ვართ, თუ როგორი ენთუზიაზმით, პატრიოტული გრძნობით ემზადება ქართველი ხალხი ამ ისტორიული თარიღის შესახვედრად; თვითეულ მშრომელს მიზნად აქვს დასახული რაც შეიძლება ახალი წარმატებებით შეეგებოს ამ დიდ ეროვნულ საზეიმო დღესასწაულს. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ თავდადებით იზრომა და დირსეულად აღნიშნა საქართველოს მშრომელმა ხალხმა დიდი ბელადის — ვ. ი. ლენინის საიუბილეო დღეები. ეჭვს გარეშეა, რომ მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ახალ-ახალი წარმატებებით აღნიშნავენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლის თარიღს.

განსაკუთრებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს 1971 წელი კიდევ იმიტომ, რომ მარტში შედგება ჩვენი მშობლიური პარტიის XXIV ყრილობა, რომელმაც უნდა დაამტკიცოს ჩვენი ქვეყნის წინსვლის ახალი კროგრამა.

1971 წელი ღირსშესანიშნავია იმითაც, რომ ის არის ახალი — მეცხრე ხუთწლედის დასაწყისი, რომელმაც უნდა დასახოს ჩვენი ქვეყნის შემდგომი აღორძინება. მისი ეკონომიკის, თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცება და მშრომელთა მატერიალური, კულტურული და საყოფაცხოვრებო დონის მნიშვნელოვნად ამაღლება.

ამ ხუთწლედის პირველი წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ დღეს აქ სესიას ვრცლად მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ჯაფარიძემ და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. ვ. ტრაპაიძემ.

საგეგმო-საბიუჯეტო კომისიამ და დარგობრივმა ქვეკომისიებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ დეპუტატები პ. გელბახიანი, ზ. ჯაფარიძე, ო. აბესაძე და ნ. ბერიძე, შეამოწმეს სამინისტროების, უწყებების და ადგილებიდან შემოსული პრეტენზიები, შენიშვნები და წინადადებები როგორც სახელმწიფო გეგმის, ისე სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. ასევე განხილულ იქნა მიმდინარე წლის გეგმების და ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა.

როგორც მომხსენებლების, ისე საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი ქვეკომისიების მიერ წარმოდგენილი მასალების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ: 1971 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტი დამუშავებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად. იგი ითვალისწინებს საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესებას, კაპიტალური დაბანდებების კონცენტრაციას ასამუქმედებელ ობიექტებზე, შრომის ნაყოფიერების ზრდას სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის საფუძველზე, და ამის შედეგად ყველა დარგის მაღალი ტემპებით განვითარებას, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ განუხრელად ზრდას.

სახალხო მეურნეობის 1971 წლის გეგმაში გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის გადიდების და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი.

ამის შედეგად მომავალ წელს სოფლის მეურნეობა მიიღებს 665 ათას ტონა მინერალურ სასუქებს, 3000 ტრაქტორს 1800 სატვირთო ავტომანქანას და ა. შ.

მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის გადაზიდვებით უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილია ტრანსპორტის შემდგომი განვითარება.

1971 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ცენტრალიზებული და არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებები გათვალისწინებულია 624 მილიონი მანეთის ოდენობით.

გეგმის პროექტით გათვალისწინებულია მოსახლეობის კომუნალური მომსახურების ამაღლება და მუშაობის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამსახ

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 8 ოქტომბრის გრძანებულება „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„მცენარეთა მავნებლების და დაავადებების, აგრეთვე სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 20 აგვისტოს „მცენარეთა მავნებლების და დაავადებების, აგრეთვე სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ მთავრობის წევრთა გათავისუფლებისა და დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1970 წლის 31 ივლისისა „ამხ. შ. დ. კიკნაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ“;

1970 წლის 12 ოქტომბრისა „ამხ. ვ. ი. მაისურაძის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად დანიშვნის შესახებ“;

1970 წლის 2 დეკემბრისა „ამხ. ლ. ა. საყვარელიძის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ“;

1970 წლის 2 დეკემბრისა „ამხ. ვ. გ. ბოჭორიშვილის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და თავმჯდომარის მოადგილის გათავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1970 წლის 4 ნოემბრისა „ამხ. ხ. ი. ქაჯაიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ“;

1970 წლის 23 ნოემბრისა „ამხ. გ. კ. ცქიტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის და თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს ამხ. სერგო იასონის-ძე ქაჯაია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ;

არჩეულ იქნეს ამხ. თამაზ გრიგოლის-ძე შავგულიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 23 დეკემბერი.

დეპუტატ დ. ვ. გელაშვილის თანამოხსენებების დასასრული

ათასი მანეთი, კომუნალური და საბინაო მეურნეობაზე — გაზიფიკაციის ჩათვლით — 97.255 ათასი მანეთი და ა. შ. გარდა საბიუჯეტო თანხებისა, 1971 წელს სახალხო მეურნეობის საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარი სახსრებიდან მოსმარებული იქნება მნიშვნელოვანი თანხები. ახალი სამეურნეო რეფორმის შედეგად დიდ დახმარებას მიიღებენ სახალხო მეურნეობის დარგები საბანკო კრედიტის სახითაც.

ეს თანხები უზრუნველყოფენ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ყველა დარგის შედგომ აღმავლობას, სახალხო მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვების გადიდებას, მხოლოდ ამისათვის საჭიროა უფრო სრულად გამოვავლინოთ და მოვიხმაროთ მეურნეობაში არსებული შიგარეზერვები, განუწყვეტლად ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება და უზრუნველყოთ წარმოების მაღალი რენტაბელობა. თვითეულ მეურნეს უნდა ახსოვდეს, რომ ამჟამად ჩვენი ეკონომიკის ძირითადი პრობლემის — საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების — წარმატებით გადაწყვეტის საქმეში მატერიალური რესურსების რაციონალურად ხარჯვას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ მომჭირნეობა ნედლეულისა და მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის ხარჯვაში — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ჩვენი სამეურნეო პოლიტიკისა. ის ერთ-ერთი პირობათაგანია წარმოების რენტაბელობის ამაღლებისათვის. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ განხორციელების შესაძლებლობებს. უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ ჯერ კიდევ გადაუწყვეტი რჩება გამოშვებული პროდუქციის ხარისხის საკითხი. ჯერ კიდევ დიდია წუნი ზოგიერთ წარმოებაში, რაც, უდავოა, შესამჩნევ ზიანს აყენებს ჩვენს სახალხო მეურნეობას.

საჭიროა ამას სათანადო სამინისტროებმა და უწყებებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და დასახონ ქმედითი ღონისძიებები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

როგორც წინა წლებში, გეგმით გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი თანხები კაპიტალური მშენებლობისათვის.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარება ბევრად არის დამოკიდებული კაპიტალურ დაბანდებაზე, მის დროულად და მიზნობრივად გამოყენებაზე, მშენებლობათა, დამკვეთთა და შემსრულებელთა მომავალი წლის გადაუდებელ ამოცანად უნდა იქნას დასახული კაპიტალურ დაბანდებათა თანხების სრულად ათვისება. ამ დარგში წინა წლების ჩამორჩენის ფაქტები აღარ უნდა გამეორდეს, როცა, მიუხედავად პარტიისა და მთავრობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა, კაპიტალურ დაბანდებათა გეგმები ვერ სრულდებოდა, ზოგ შემთხვევაში კი სრულდებოდა, მხოლოდ არასრულყოფილად.

სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესება, მათი მუშაობის სწორად ორგანიზება — მშენებლობის და სოფლის მშენებლობის სამინისტროების ყოველდღიური ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. უნდა ვიცოდეთ, რომ უახლოეს დროში მთლიანად აღმოვფხვრათ ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი მშენებლობის დაგეგმვაში, როგორიც არის — კაპიტალურ დაბანდებათა თანხების დაქსაქსვა, ტექნიკურ-ეკონომიური დოკუმენტაციის არადროულად და დაუსაბუთებლად შექმნა და სხვ.

როგორც ვიცით, პარტია და ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევენ კერძოდ საბინაო მშენებლობას.

ამოცანად დასახულია არა მარტო გავადიდოთ მშენებლობის მოცულობა, არამედ ავამაღლოთ მუშაობის კულტურა და ხარისხი, გავაუმჯობესოთ შენობათა არქიტექტურა და ბინების კომფორტაბელობა.

ამ მხრივ ბევრი რამ არის ვასაკეთებელი, რასაც მომავალში ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

თანამედროვეობა და მეზობლასახულობით სრულდება ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, 1965 წლის მარტისა და 1969 წლის ოქტომბრის პლენუმების მიერ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დასახული პროგრამა. ეს მოითხოვს უპირველეს ყოვლისა სათანადო ფუთად რესურსებს. ამიტომაც საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სოფლის მეურნეობისათვის გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი თანხა — 197.675 ათასი მანეთის ოდენობით. სახელმწიფოს ასეთი დახმარება მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებიდან დიდ მზრუნველობას იმაზე, რომ გამოყოფილი თანხები სწორად და მიზნობრივად იქნას ათვისებული, უზრუნველყოფილ იქნას ტექნიკის სწორი ექსპლუატაცია, მიგაღწიოთ მინერალური სასუქების უფრო ეფექტურად გამოყენებას. საჭიროა აგრეთვე მეტი ზრუნვა ჩვენი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მეურნეობათა განმტკიცებასა და მათ მაღალ რენტაბელობაზე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკები მომავალშიც მუშაობის კარგ ნიმუშს გვიჩვენებენ და ღირსეულად შეხვდებიან ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლის თარიღს, პირნათლად და მნიშვნელოვანი მიღწევებით შეეგებებიან ჩვენი პარტიის XXIV ყრილობას. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი სახალხო მეურნეობის ისეთი დარგის საქმიანობა, როგორიც ვაჭრობაა.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მაღალ დონეზეა საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა, დღითიდღე იზრდება მისი შემოსავალი და ყიდვითი უნარიანობა. ვაჭრობის მუშაკები ყოველივეს აკეთებენ იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ მათზე დაკისრებული ამოცანები. მაგრამ სახელმწიფო ვაჭრობისა და ბაზმომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ მოსაგვარებელი, მათ ჯერ კიდევ არა აქვთ გამოყენებული ყველა შესაძლებლობა საქონელბრუნვის მნიშვნელოვნად გადიდებისათვის. ზოგან დაბალია ვაჭრობის კულტურა და ადგილი აქვს ვაჭრობის დადგენილი წესების დარღვევებს.

ამასთან დაკავშირებით დიდი როლი უნდა შეასრულოს სამომხმარებლო კოოპერაციამ, რომელსაც მნიშვნელოვანი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი ქალაქსა და სოფელს შორის სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-ყოფაცხოვრებითი დონის განსხვავებათა დაძლევაში.

ამ მხრივ ბევრია გაკეთებული ჩვენს რესპუბლიკაში, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაო სამუშაოებია შესასრულებელი.

ამხანაგო დეპუტატებო! საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიებმა დამავალეს მოკლედ შევეხო სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსების საკითხს.

ეს ხარჯები საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, ისე, როგორც წინა წლებში, დიდი მოცულობით არის გათვალისწინებული. განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელის შენახვა, აგრეთვე მოსახლეობის სოციუზრუნველყოფა მნიშვნელოვან თანხებს მოითხოვს. განათლებაზე ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი 1971 წლისათვის 391.264 ათას მანეთს ითვალისწინებს, ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზიკური კულტურის ღონისძიებებზე — 162.773 ათას მანეთს, ხოლო პენსიებსა და სხვადასხვა დახმარებებზე სოციდაზღვევის ბიუჯეტის სახსრების გათვალისწინებით მოსახლეობაზე გაიცემა 183.627 ათასი მანეთი. ასეთნაირი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე წლიდან წლამდე, იზრდება, რის შესაძლებლობას იძლევა ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის სწორადდ განვითარება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა ცენტრალური უწყებანი და ადგილობრივი ორგანოები მეტ ყურადღებას უთმობდნენ ამ სარჯების მომჭირნეობით და ეფექტურად გამოყენების საქმეს. მათ მიერ სისტემატური შემოწმებისა და შესწავლის საგნად უნდა იქნას მიჩნეული ისეთი საკითხები, როგორიც არის კლასთა და სამაგალითო დაწესებულებათა ნორმალური დატვირთვა, სკოლებისა და სამკურნალო ქსელის სწორად განლაგება, მათ მუშაობაში ყოველგვარი პარალელიზმის აღმოფხვრა და ა. შ.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. ტრაპაიძემ ვრცლად მოახსენა სესიის ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ, ჯანმრთელობის დაცვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

კამეთი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებათა და თანამოხსენებების გამო

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის

შ. ე. ბუხრაშვილის

სიტყვა

ჩვენი დღევანდელი სესია მიმდინარეობს იმ დროს, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი აჯამებს საიუბილეო წლის ვალდებულებისა და ხუთწლიანი გეგმის შესრულების სასახარულო შედეგებს.

მიმდინარე 1970 წელი ჭეშმარიტად ღირსეულსამიზნავია, ჩვენმა ქვეყანამ, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ დიდსულად აღნიშნეს ვენიალური ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი.

საბჭოთა კომუნისტების მრავალრიცხოვანი არმია, მთელი ჩვენი ხალხი უდიდესი ენთუზიაზმით ემზადება პარტიის XXIV ყრილობისათვის, რომელიც მომავალი წლის მარტში გაიმართება.

ყრილობის წინადღეები ჩვენს რესპუბლიკაში ემთხვევა დიდი ეროვნული დღესასწაულისათვის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებას.

ჩვენი დედაქალაქის მრეწველობის მშრომელებსა ვადამდე, 1970 წლის 24 ნოემბრისათვის შესასრულეს წარმოების საერთო მოცულობის და მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახეობა-ნაწარმის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლედის დავალება გაანადღეს მიმდინარე წლის აპრილში — ლენინის იუბილეს დღისათვის.

ამკამად თბილისის მრეწველობა უშვებს 3 ათასამდე სახეობის სხვადასხვა ნაწარმს. ბევრი მათგანი დგას მსოფლიო სტანდარტების დონეზე და დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ჩვენ ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

დიდი გარდაქმნები განხორციელდა საქალაქო მეურნეობის განვითარების ხაზით, რითაც ქალაქმა საოცრად იცვალა სახე.

თბილისი დამშვენებულია ფართო ქუჩებითა და მოედნებით, მაღალი შენობებით, გემოვნებით გაშენებული პარკებითა და ბაღებით, ქალაქში არის ყველა სახეობის თანამედროვე ტრანსპორტი მეტროპოლიტენის ჩათვლით.

ღირსშესანიშნავ თარიღებს, რომელთა შესახვედრად დიდი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული, თბილისი ეგებება ძირეული თვისებრივი გარდაქმნებით საქალაქო მეურნეობის ყველა დარგში.

თბილისის საქალაქო მეურნეობის მრავალათასნაირი კოლექტივი ერნამოლად ასრულებს ხუთწლედის უკანასკნელი წლის გეგმებს და ნაკისრ ვალდებულებებს. საგრძნობი გადაჭარბებითაა შესრულებული წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდების, ქალაქის გაზიფიკაციის, თბოფიკაციის, სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის, საქალაქო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის, საქონელბრუნვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, საგზაო მშენებლობისა და ქალაქის გამწვანების, მიწისქვეშა კომუნიკაციების გაყვანის, მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული მთელ რიგ სხვა სახეობათა სამუშაოების გეგმები.

მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა უფრო მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვიდრე გასულ წელს.

შესრულდა სასკოლო მშენებლობის გეგმა. სასწავლო წლის დასაწყისისათვის ქალაქის სკოლებს შეემატა 5.930 მოსწავლის ადგილი.

ტრესტი „ინჟმშენი“ წარმატებით ანადგურებს საიჯარო სამუშაოთა დადგენილ პროგრამას, ხოლო თბილგვიარაბმშენის სახელოვანი კოლექტივი ისევე, როგორც წინა წლებში, მიმდინარე წელსაც გადაჭარბებით ასრულებს გეგმას როგორც მეტროპოლიტენის, ისე ავტოსატრანსპორტო გვირაბისა და მთავარი გამყვანი საკანალიზაციო კოლექტორის მშენებლობაზე.

წარმატებით სრულდება ქალაქის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, რაც ნაცვლად დაუსტებული გეგმით განსაზღვრული 134.251 ათასი მანეთისა, 137.509 ათას მანეთს მიაღწევს.

მაგრამ უკეთესი მაჩვენებლები გვექნებოდა, რომ ყველა ორგანიზაციას შეეასრულებინა დამტკიცებული გეგმები.

ყველაზე დიდი ნაკლოვანება ამჟამად ის არის, რომ სისტემატურად არ სრულდება საბინაო მშენებლობის გეგმა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებში, რომლებიც წარმოდგენილია დღევანდელი სესიის განსახილველად, ძირითადად სწორადაა ასახული ინფორმაციის საქალაქო მეურნეობის საჭიროებანი, რომლის ახალმშენებლობაში გათვალისწინებულია დაფინანსების ყველა წყაროდან დაბანდდეს 108.798 ათასი მანეთი, ანუ 2.003 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე მიმდინარე წლის გეგმით იყო განსაზღვრული.

საბინაო მშენებლობის ის პროგრამა, რაც უნდა განხორციელდეს არაცენტრალიზებულ კაპიტალდაბანდების სახსრებით, მართალია, უსრულყოფილია მატერიალური რესურსებით და მოიჯარადრე ორგანიზაციებით, მაგრამ არ არის უზრუნველყოფილი დაფინანსებით 10.614 ათასი მანეთის მოცულობით. ჩვენ ვთხოვთ მინისტრთა საბჭოს დასმარებას ზემოხსენებული თანხის დროულად გამოყოფის საქმეში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად თბილისის ცალკეულ უბნებში წყლის უკმარისობის ძირითადი მიზეზია მისი უყაირათოდ ხარჯვა, დიდი დანაკარგები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმის პროექტებს საფუძვლად უდვეს რესპუბლიკის რეალური შესაძლებლობანი და ყველა პირობა არის მათი გადაჭარბებით შესრულებისათვის. წინადადება. შემმაქებს დამტკიცდეს ისინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესწორებით.

თბილისის მშრომელები, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, დაუსრულებლად იშრომენენ, რომ უზრუნველყონ მომავალი სახალხო მეურნეობის ხუთწლედის პირველი წლის გეგმისა და ბიუჯეტის შესრულება.

დეპუტატ

ი. გ. ამიჩბას

სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დღევანდელი სესია აჯამებს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის შედეგებს და სახავს ახალი წლის გეგმებს.

წარმატებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს აფხაზეთის მშრომელებმა. ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობამ პროდუქციის წარმოების ცოცხალი ხუთწლიანი გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა. სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის 1970 წლის დავალება შესრულებულია 105 პროცენტით. წლის ბოლომდე გამოშვებული იქნება მილიონობით მანეთის შეკეთებითი პროდუქცია.

დიდი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაში. ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით, მანდარინის მოყვანისა — 170 პროცენტით, ხორცისა — 160 პროცენტით და მეტად, აბრეშუმის პარკისა — 105 პროცენტით და სხვა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები შედგენილია რესპუბლიკის რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით, და მე მოლიანად ვუჭერ მხარს მათ დამტკიცებას. მაგრამ მინდა გამოვთქვა ზოგიერთი შენიშვნა. აფხაზეთის ქალაქებში მწვავედ დგას ბინათმშენებლობის საკითხი. ამავე დროს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 1971 წელს ბინათმშენებლობისათვის გათვალისწინებულია 790 ათასი მანეთი, რაც არ არის საკმარისი. გთხოვთ ასიგნებანი ბინათმშენებლობაში ცენტრალური კაპიტალდაბანდებისა ხაზით გადიდდეს 350 ათასი მანეთით, ხოლო არაცენტრალური კაპიტალდაბანდებისა — 50 ათასი მანეთით.

აფხაზეთის ქალაქებში კომუნალურ მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა უკმარისობის გამო ჩამორჩენილია წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის განვითარება, ბინძურდება ზღვა და წყალსაცავები, ქალაქ-კურორტების სანიტარული მდგომარეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. ისიც უნდა დავმატოს, რომ ცუდად მუშაობენ სამშენებლო ორგანიზაციები. ისედაც არასაკმაოდ გამოყოფილი სახსრები აუთვისებელი რჩება, მშენებლობას ეშვიგნის სხვადასხვა ორგანიზაციები, რაც იწვევს გაუპროფესიებას.

დადებითად გადაწყდა ქალაქ სოხუმში რადიოსახლის აშენების საკითხი. გთხოვთ იგი შეიტანოთ 1971 წლის გეგმაში იმ ანგარიშით, რომ მისი მშენებლობა დამთავრდეს 1972 წლისათვის.

ნება მიბოძეთ დავარწმუნო სესია, რომ აფხაზეთის მშრომელები ძალღონეს არ დაიზუგრენენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმის შესრულებისათვის, იმისათვის, რომ წარმატებებით შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას და საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავს.

დეპუტატ

გ. ო. მაღლაფერიძის

სიტყვა

ქართველი ხალხი გულმოდგინედ ემზადება პარტიის XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს საიუბილეო თარიღების შესახვედრად.

საერთო შრომით მიღწევებში დიდია რუსთავის საწარმოთა კოლექტივების წვლილიც.

როგორც ცნობილია, რუსთავში დიდი ყურადღება ეთმობა მშრომელთა საყოფაცხოვრებო-საბინაო პირობების გაუმჯობესებას. ბოლო სამი წლის მანძილზე აიგო 120 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. რუსთავში გაშენდა ახალი კეთილმოწყობილი ქუჩები და მოედნები, ყოველდღიურად იზრდება ქალაქის ტერიტორია. 1971 წელს ქალაქის გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ოთხასი ათასი მანეთია გამოყოფილი, რაც არ არის საკმარისი.

სესიას ვთხოვ გათვალისწინოს ის მდგომარეობაც, რომ კეთილმოწყობისათვის საჭირო საბიუჯეტო თანხების ნაკლებობა უარყოფითად მოქმედებს ქალაქის სანიტარული მდგომარეობაზე. ამის გამო საჭიროა ამ დანიშნულებით გამოიყოს სათანადო დამატებითი თანხები.

1971 წლის ბიუჯეტით ჩვენი ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის კერების რემონტისათვის 60 ათასი, ხოლო განათლების ხაზით სამეურნეო ინვენტარის შესაძენად 39 ათასი მანეთია გათვალისწინებული, რაც საკმარისი არ არის. სესიას ვთხოვ ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რემონტისათვის დამატებით გამოყოს 60 ათასი მანეთი, ხოლო განათლების განყოფილების ხაზით სამეურნეო ინვენტარის შესაძენად 30 ათასი მანეთი.

მთლიანად ვიწონებ განსახილველად წარმოდგენილ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმის და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებს და აღვუთქვამ სესიის მონაწილეებს, რომ ქალაქ რუსთავის მშრომელები ყველაფერს გაკეთებენ იმისათვის, რომ სასახელო საქმეებით შეეგებონ პარტიის XXIV ყრილობას და ჩვენი რესპუბლიკის იუბილეს.

დეპუტატ

რ. მ. სიორიძის

სიტყვა

ყოველ დღეს მოაქვს სასიხარულო ცნობები ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულების შესახებ. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდ შრომით საჩუქრებს უმზადებენ საქართველოს მშრომელები პარტიის XXIV ყრილობას და ქართველი ხალხის ნახევარსაუკუნოვან დღესასწაულს.

აჭარის სამრეწველო საწარმოებმა ხუთწლედის მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა 103,2 პროცენტით შეასრულეს, წარმოებულია 39 მილიონ 467 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით, ხოლო მიმდინარე წლის გეგმა უკვე თერმეტ თვეშია განაღდებული 107 პროცენტით. ამ ხუთწლედში მწყობრში ჩადგა გონიოსა და ქედის ჩაის ფაბრიკები, ბათუმის სახლსამშენებლო კომბინატი, ჭიოროხის ინერტული მასალების ქარხანა და სხვა სამრეწველო ობიექტები.

დიდი წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მისი წამყვანი დარგების პროდუქციის წარმოებასა და დამზადებაში.

აჭარის სახელოვანმა მეჩაიეებმა ხუთწლედში მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 181.541 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმის 109,7 პროცენტს შეადგენს, ხოლო საიუბილეო წლის დავალება შესრულდა 112,5 პროცენტით. მათ არც მეცატრუსეები ჩამორჩნენ. მიმდინარე წელს ციტრუსოვანთა ნაყოფის არნასული მოსავალია და აჭარის მეციტრუსეებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები.

აჭარაში დიდი გადაჭარბებით შესრულდა ხუთწლედში სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მაყიდვის თითქმის ყველა გეგმა-ვალდებულება.

ციტრუსების წლევანდელი უხვი მოსავლის დამზადებისა და დანიშნულებისამებრ გადაზიდვის ორგანიზაციაში ნამდვილად დიდი მუშაობა გასწიეს საქართველოს ბიუროს, საქართველოს სახელმწიფო კომიტეტმა და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებმა.

ზემდგომ ორგანოებს არაერთხელ გაუმახვილებიათ ყურადღება შავი ზღვის სანაპიროს ავარიული ზონის ვამაგრების აუცილებლობაზე, მაგრამ ეს საკითხი გადაუჭრელი რჩება.

საქმე ის არის, რომ ზღვის სტიქია საშიშროებას უქმნის კურორტ ქალაქის ქობულეთის ადმინისტრაციულ ცენტრს. ახლა ყველაზე უფრო ავარიული ზონაში მშენებლები აწყობენ 22-ბინიან ბეტონის ლოდებს. ამ სამუშაოებზე ერთდროულად გამოყოფილია 60 ათასი მანეთი, მაგრამ მომავლისათვის ზღვის სტიქიისაგან დაცვის საქმეში დაგეგმირდება უფრო დიდი დახმარება, რათა დაჩქარდეს არსებული სანაპიროს გამაგრების რეკონსტრუქცია და მეორე რიგის ნაგებობათა მშენებლობა.

ვთხოვთ საქართველოს სსრ მთავრობას, თუ 1971 წლის გეგმაში არა, 1972 წლისათვის მაინც გათვალისწინოს სასტუმროს აგება ქალაქ ქობულეთში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელსაც მიმდინარე სესია განიხილავს, მოწმობს ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური ეკონომიკის განმტკიცებას, ჩვენი ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუჯობესებას. მთლიანად მხარს ვუჭერ მას და შემოვიყვარ წინადადებით დავამტკიცოთ იგი საგეგმო-საბიუჯეტო კომისიისა და დეპუტატების მიერ შემოტანილი შენიშვნებისა და შესწორებების გათვალისწინებით.

დეპუტატ

უ. ფ. ცქვიტინიძის

სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესია მიმდინარეობს იმ მომენტში, როცა რესპუბლიკის მშრომელები სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ქალაქ ქუთაისის მრეწველობამ 5 ნოემბრისათვის შეასრულა ხუთწლიანი გეგმა.

მოპოვებულია წარმატებანი ქუთაისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების, კეთილმოწყობისა და განმტკიცების, მშრომელთა კომუნალური, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების საქმეში.

ყოველდღიურად იზრდება საბინაო მშენებლობის ტემპები. 1966 წლიდან დღემდე საექსპლოატაციოდ გადაცემულია 105 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი.

1970 წელს ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებზე დაიხარჯა 810 ათასი მანეთი, რის შედეგადაც კეთილმოეწყო მრავალი პროსპექტი, ქუჩა და მოედანი, აშენდა ორი სკოლა, 3 ბაგა-ბაღი, ბევრი რამ გაკეთდა სამედიცინო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, აიგო საცურაო აუზი, ტურისტული ბაზა, აიგო სატელევიზიო სადგური და ყოფაცხოვრების სახლი, შენდება სპორტსკოლის შენობა, ყველაზე დიდ მოვლენად მიგვაჩნია პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ოპერისა და ბალეტის თეატრისა და კონსერვატორიის ფილიალების გახსნა ქუთაისში.

კიდევ ერთი სასიხარულო მოვლენის მოწმენი გახდნენ ქუთაისის მშრომელები მიმდინარე წლის 16 დეკემბერს. საქეველნიდ ცნობილი გელათის ძეგლ-მუზეუმთან, იქ სადაც ჯერ კიდევ XII საუკუნეში სწორუპოვარ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდნენ იმდროინდელი საქართველოს გამოჩენილი მეცნიერები, გაიხსნა გელათის სახალხო აკადემია.

ნება მიბოძეთ დავაყენო ზოგიერთი საკითხი.

ქალაქის სრულად განაშენიანების, მისი გეგმაზომიერი განვითარებისა და ყველა საკითხის კომპლექსურად გადაწყვეტის ინტერესები მოითხოვენ, რომ სამინისტროებისა და უწყებების მიერ ქუთაისში საცხოვრებელი, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების ყოველწლიურად გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდების დაგეგმვა-დაფინანსება და მომარაგება ხორციელდებოდეს საქალაქო საბჭოს აღმასკომის მეშვეობით. კაპიტალური დაბანდების ასეთი ცენტრალიზაცია ხელს შეუწყობდა სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული ობიექტების დროულად დამთავრებას და გაუმჯობესებს მშენებლობის სწორად წარმართვის საქმეს.

ქალაქი განიცდის აგურის მწვავე ნაკლებობას. ამიტომ ვთხოვთ საქართველოს მინისტრთა საბჭოს, ქუთაისის აგილომბრივი მრეწველობის კომბინატს გამოუყოს მომიჯნავე რაიონის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთი აგურის ქარხნის მშენებლობისათვის.

ახალმშენებლობებისათვის საჭირო ტერიტორიის ნაკლებობის გამო ქალაქში შეგეგმნა მეტად სერიოზული მდგომარეობა. გაძნელდა მიწის ნაკვეთების გამოძებნა სკოლებისა და საბავშვო ბაღების მშენებლობისათვისაც კი. ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს კომპლექსურად — თავისუფალი მოსაზღვრე ტერიტორიების გადმოცემითაც და უვარგისი ნაგებობების აღებითაც.

სესიის განსახილველად წარმოდგენილი სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტს საფუძველად უდვეს განვლილ პერიოდში მოპოვებული წარმატებანი. იგი სრულად ასახავს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს, ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ განმტკიცებასა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ამიტომ ვუერდები გამოსულ დეპუტატთა აზრს, რომ დავამტკიცოთ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმის და სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტები.

((დასასრული შემდეგ ნომერში))

რომან დოღონაძე

ერეკვნული ბიბლიოთეკა

რ. დოღონაძე დაიბადა 1905 წლის 22 დეკემბერს (ძვ. სტ.) ქუთაისის რაიონის სოფელ ნახშირელეში. ქუთაისის მეხუთე კუმანტარული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ 1923 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე. ნიჭიერი სტუდენტი სწავლაში თავიდანვე დაწინაურდა. მან უნივერსიტეტი წარმატებით დაამთავრა 1927 წელს და იმავე წელს გაიგზავნა ახლად დაარსებულ ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მასწავლებლად.

1930 წელს რ. დოღონაძე გადმოჰყავთ თბილისში „კომეურნეცენტრში“ აგროსაწარმოო სამმართველოს უფროსად, ხოლო შემდეგ ინიშნება ახლადშამოყალიბებულ „ჩაიკოლმეურნეცენტრის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ. რ. დოღონაძემ აქ ორგანიზატორული მუშაობის დიდი უნარი გამოიჩინა.

1939 წლიდან რ. დოღონაძე გადაჰყავთ მოსკოვში და ნიშნავენ სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონის დირექტორად, ხოლო სამამულო ომის დაწყებისთანავე იგი სამშობლოს დამცველთა რიგებში დგება. ეორონეჟისა და პირველ უკრაინის ფრონტებზე ასრულებდა დიგიზიონისა და პოლკის კომისრის, ხოლო შემდეგ ფრონტის პოლიტგანყოფილების უფროსი ინსპექტორის მოვალეობას. ორჯერ მიიღო ძმინგ კონტუზია. იგი დაჯილდოებული იყო წითელი დროშის, სამამულო ომის პირველი ხარისხისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

დემობილიზაციის შემდეგ რ. დოღონაძე კვლავ მოსკოვში იწყებს მუშაობას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში, სადაც მან ერთ-ერთ ხუთადასხვა პასუხსაგები თანამდებობა. მან 1951 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1952 წელს საბჭოთა მთავრობამ იგი მიავლინა საზღვარგარეთ, სადაც რამდენიმე წელიწადს იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მრჩეველი.

შემდეგ რ. დოღონაძე ისევ მოსკოვშია. მუშაობს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ინსტიტუტსა და ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში. 1959 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. იგი მთავრობამ დაჯილდოდა მედლით — „მოსკოვის 800 წლისთავი“.

ღვაწლმოსილ პროფესორს 1961 წელს ირჩევენ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების კათედრის გამგედ, ხოლო 1962 წლიდან ნიშნავენ ამავე ინსტიტუტის პროორექტორად სასწავლო ნაწილში. 1969 წელს რ. დოღონაძე გადმოჰყავთ თბილისში და მუშაობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული კულტურების კათედრის გამგედ. მოკლე ხნის განმავლობაში მან შეძლო ამ კათედრის მუშაობის გარდაქმნა.

მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი ათეული მეცნიერული და მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომი. მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით 1964 წელს გამოიცა კაპიტალური სახელმძღვანელო წიგნი — „სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები“.

შესანიშნავი მეცნიერისა და ადამიანის რ. დოღონაძის ნათელი სხოვნა მუდამ დარჩება მისი მრავალრიცხოვანი კოლეგებისა და აღზრდილების გულში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

ასპარეზობათა პანორამა



● **კალათბურთი.** მოსკოვსა და კაუნასში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები ვაქთა გუნდებისათვის. მოსკოვის დინამოელები მასპინძლობდნენ კიევის ორმის სასპორტო კლუბის გუნდს და დამარცხდნენ 71:72. კაუნასში ადგილობრივი „ჟალგირისასა“ და ლენინგრადის „სპარტაკის“ შეხვედრის ბედიც ერთმა ქულამ გადაწყვიტა. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა 73:72.

სატურნირო ცხრილს სათავეში ლენინგრადის „სპარტაკი“ უდგას — 10 თამაშიდან 9 ქულა. მეორე ადგილზეა ცსკა — 8 თამაშიდან 7 ქულა.

● **ბადრაკი.** რიგის ვაფთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატზე 18 ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. კარპოვმა მოუგო ვაგანიანს, ბალაშოვმა — კარასევს, ვაგანიანმა— მიკენასს, კორჩნოიმ — მოიხეევს, ხავონმა—პლატონოვს, დემენტიევმა — ხოლმოვს. შტეინ-ზაიცევისა და ლიბერზონ-ბალაშოვის პარტიები ყაიმით დამთავრა.

18 ტურის შემდეგ ლიდერია კორჩნოი — 13,5 ქულა. ტუმაკოვს 12,5 ქულა აქვს.

● **ფეხბურთი.** ეორონეჟოვგრადის „ზარიას“ ფეხბურთელთა გუნდი სუდანს ეწვია. პირველი მატჩი საბჭოთა ფეხბურთელებს ჭკონდათ ხართუმში სუდანის ჩემპიონთან „ხალალთან“ და შეხვედრა ფრედ— 0:0 დაამთავრეს. მომდევნო ორ მატჩს „ზარია“ გამართავს სუდანის ნაკრებთან.

საქმესის გასწორება

გაზეთ „კომუნისტის“ ამა წლის 23 დეკემბრის ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში „ვადამდე შესრულდა საიუბილეო წლის გეგმა“ პირველ სვეტში ზემოდან მეშვიდე-მეცხრე სტრიქონები უნდა იკითხებოდეს: რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე, 22 დეკემბრის შესასრულა პროდუქციის რეალიზაციის 1970 წლის, შემდეგ როგორც ტექსტშია. (საქმესი).

● **შაშკი.** ლიეპაიაში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება რუსულ შაშში. ოქროს მედალი მოიპოვა ბაქოელმა გროსმაისტერმა ი. არუტიუნოვმა.

● **მაბიდის ჩოგბურთი.** ლენინგრადში შედგა ვეტერანის ლიგის პირველობის მორიგი მატჩი მაგიდის ჩოგბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. წარმატება საბჭოთა ნაკრებს ხვდა ანგარიშით 4:3.

● **ძალოსნობა.** დნეპროპეტროვსკში დაიწყო ძალოსანთა ახალი ასპარეზობა — სსრ კავშირის თასის გათამაშება. მონაწილეობენ 12 მოკავშირე რესპუბლიკისა და მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები.

სტარტი ჩინებული გამოდგა. უმჩატეს წონაში ლვოველმა ეურნალისტმა ადამ ენატოვმა აჭიმა 114 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. სამჭიდში კი აჩვენა 317,5 კილოგრამი და ოქროს მცირე მედალი მოიპოვა. მეორე იყო რ. ხანინი — 307,5 კილოგრამი, მესამე — ო. სულიცკი — 302,5 კილოგრამი.

მჩატე წონაში ოქროს მცირე მედალი დაიმსახურა მოსკოველმა ვ. კუზნინმა — 345 კილოგრამი.

კონკურსი

საუკეთესო საცხოვრებელი სახლისათვის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი აცხადებენ საბინაო მშენებლობის შემდგომი სრულყოფისა და ხარისხის გაუმჯობესების და მშარდ მოთხოვნათა შესაბამისი საცხოვრებელი სახლების ახალი პროექტების დროულად დამუშავების უზრუნველყოფის მიზნით აცხადებენ ღია კონკურსს 1972-1980 წლების პერიოდში საქართველოს სსრ საქალაქო მშენებლობისათვის 9 და 16-სართულიან კარკასულ-კანელიანი საცხოვრებელი სახლების საპროექტო წინადადებების დამუშავებისათვის.

კონკურსზე წარსადგენი საპროექტო წინადადებები უნდა შეიცავდეს რაციონალურ გადაწყვეტილებებს, აკმაყოფილებდნენ ცხელი კლიმატის პირობებში თანამედროვე საცხოვრებელი ბინების მოთხოვნებს და ითვალისწინებდნენ მოსახლეობის ყოფაცხოვრების ტრადიციებს, სამშენებლო ნაკეთობათა მაქსიმალურ უნიფიკაციასა და მშენებლობის ინდუსტრიალიზაციას.

საპროექტო წინადადებები უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებისა და წესების პირობებსა და მოთხოვნებს, აკმაყოფილებდნენ თბილისის ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ჩარჩოშაკავშირებული ენინიფიცირებული კარკასის ნაკეთობების და აგრეთვე რკინაბეტონის სანიტარულ-ტექნიკური კაბინების, მოცულობითი სალიფტო შახტების, მსუბუქი ბეტონის გარესაკედლე პანელების გამოყენებას.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობის რაიონია საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი 7-8-ბალიანი. საანგარიშო სეისმურობით.

ყოველ წინადადებაში უნდა შეიდიოდეს (ცალ-ცალკე 9 და 16-სართულიანი სახლებისათვის): ბლოკსექციების ნომენკლატურა და ქალაქის განაშენიანების სხვადასხვა პირობებისათვის მათი საშუალებით შედგენილი საცხოვრებელი სახლები; ტორსისა და რიგობრივი ბლოკსექციები (სექციური სახლებისათვის); პირველი სართულისა და ტიპობრივი სართულის გეგმა ერთ-სექციანი — წერტილოვანი სახლისათვის; სახლების ტიპები — საგ-ოთხსექციანი სახლებისათვის — ორი წინადადება (9 და 16-სართულიანი სახლებისათვის); ერთსექციანი სახლისათვის — ორი წინადადება (9 და 16 სართულიანი სახლებისათვის).

სახლების ტიპების დამუშავებისას თვითეული წინადადებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს პირველი სართულებში სავაჭრო და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების განლაგება. კონკურსის შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს სსრ სახმშენი (თბილისი, მთავრობის სახლი). ამავე მისამართით 1971 წლის 31 მაისამდე ნიშნით „კონკურსისათვის“ უნდა გამოიგზავნოს საპროექტო წინადადებანი. კონკურსის სხვა ქალაქის მონაწილეთათვის მასალების ვადაზე ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი არის საფოსტო ქვითარი.

საუკეთესო საპროექტო წინადადებებისათვის **დაწესებულია ფულადი პრემიები.** ცხრასართულიანი სახლებისათვის: სექციურ სახლზე—პირველი პრემია—2.000 მანეთის ოდენობით, მეორე — 1.000 მანეთის ოდენობით, ერთსექციან — წერტილოვან სახლზე — პირველი პრემია — 1.500 მანეთის ოდენობით, მეორე პრემია — 1.000 მანეთის ოდენობით. 16-სართულიანი სახლებისათვის: სექციურ სახლზე — პირველი — 2.000 მანეთის ოდენობით, მეორე — 1.000 მანეთის ოდენობით; ერთსექციან-წერტილოვან სახლზე — პირველი პრემია — 1.500 მანეთის ოდენობით, მეორე პრემია — 1000 მანეთის ოდენობით. (საქმესი).

მსოფლიო დღეს

მეგობრული საუბრები

პრაღა, 22 დეკემბერი. (საქმესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის პ. ნ. დემიჩევის მეთაურობით დღეს ჩეხო